ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. მიზანი

ადვოკატთა ნებაყოფლობითი დარგობრივი სპეციალიზაციის (შემდგომში - დარგობრივი სპეციალიზაცია) მიზანია, საქართველოში ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეწყობა, ადვოკატთა კვალიფიკაციისა და იურიდიული სერვისების ხარისხის ამაღლება და მომხმარებელთა ინტერესების ეფექტიანი დაცვა.

2. სპეციალიზირებული ადვოკატის სტატუსი

კონკეტულ დარგში სპეციალიზირებული ადვოკატის სტატუსი მიენიჭება ასოციაციის იმ წევრს, რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრულ სავალდებულო მოთხოვნებს.

3. სპეციალიზირებული ადვოკატის სტატუსის მინიჭების წესი

3.1. ასოციაციის წევრს სპეციალიზირებული ადვოკატის სტატუსს ანიჭებს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

3.2. სპეციალიზირებული ადვოკატის სტატუსის მიღების მსურველმა პირმა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

(ა) განცხადება;
(ბ) ბიოგრაფია;
(გ) წინამდებარე დებულების მე-4 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი მონაცემები.

3.3. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალიზირებული ადვოკატის სტატუსის მიღების მსურველ პირთან ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ შესაძლოა დაინიშნოს გასაუბრება.
3.4. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო განაცხადის მიღებიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ადვოკატისთვის სპეციალიზირებული სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3.5. ასოციაციის იმ წევრის მონაცემები, რომელსაც მიენიჭება სპეციალიზირებული ადვოკატის სტატუსი განთავსდება დარგობრივი სპეციალიზაციის რეესტრში,

რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.gba.ge

4. სავალდებულო მოთხოვნები

სპეციალიზირებული ადვოკატის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ასოციაციის წევრს, რომელსაც:

(ა) აქვს საადვოკატო საქმიანობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება;
(ბ) შესაბამის დარგში გავლილი აქვს წინამდებარე დებულებით განსაზღვრული სპეციალიზირებული კურსი და მიღებული აქვს აღნიშნული კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერთიფიკატი).

5. სპეციალიზირებული კურსი

5.1. სპეციალიზირებული კურსი არის სიღრმისეიული თეორიულ-პრაქტიკული სასწავლო კურსი, რომელიც ხორციელდება წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ დარგებში და რომელიც მოიცავს შესაბამისი დარგისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა საკითხს.

5.2. სპეციალიზირებული კურსის მინიმალური ხანგრძლივობა არანაკლებ 40 საათია.

5.3. სპეციალიზირებული კურსის წარმატებით გავლა, როგორც წესი, დასტურდება შემაჯამებელი ტესტირების ჩაბარებით.

6. დარგები

6.1. სპეციალიზირებული კურსის/კურსების განხორციელება და შესაბამისი სპეციალიზაციის მინიჭება ხდება შემდეგ დარგებში:

(ა) უძრავი ქონების სამართალი;

(ბ) სამეწარმეო სამართალი;

(გ) საერთაშორისო ბიზნეს სამართალი;

(დ) საბანკო და კაპიტალის ბაზრის სამართალი;

(ე) სამემკვიდრეო სამართალი;

(ვ) საოჯახო სამართალი;

(ზ) სამედიცინო სამართალი;

(თ) სადაზღვევო სამართალი;

(ი) შრომის სამართალი;

(კ) ინტელექტუალური საკუთრების სამართალი;

(ლ) ევროკავშირის სამართალი;

(მ) საგადასახადო სამართალი;

(ნ) სამშენებლო და საარქიტექტორო სამართალი;

(ო) ენერგეტიკის, გარემოსა და მდგრადი განვითარების სამართალი;

(პ) ეკონომიკურ დანაშაულთა სამართალი.

6.2. ამ მუხლის 6.1 პუნქტში ცვლილებები და დამატებები შეაქვს ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს.

7. სპეციალიზირებული კურსის განხორციელების წესი

7.1. სპეციალიზირებული კურსი ხორციელდება ასოციაციის მიერ.

7.2. სპეციალიზირებული კურსი ასევე შეიძლება განხორციელდეს იმ კვალიფიციური ორგანიზაციის/ინსტიტუტის მიერ, რომელსაც ასოციაციის მიერ მინიჭებული აქვს ამ დებულებით განსაზღვრული ინსტიტუციური აკრედიტაცია.

7.3. აკრედიტირებული ორგანიზაციის/ინსტიტუტის მიერ სპეციალიზირებული კურსი ხორციელდება წინამდებარე დებულების მოთხოვნებისა და ასოციაციასა და ამ ორგანიზაციას/ინსტიტუტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

7.4. სპეციალიზირებული კურსის/კურსების გავლა ასევე შეუძლიათ ადვოკატის სტატუსის არმქონე პირებსაც. ამასთან, ჯგუფის ფორმირებისას უპირატესობა ენიჭება ასოციაციის წევრებს.

8. ინსტიტუციური აკრედიტაცია

8.1. კვალიფიციურ ორგანიზაციას/ინსტიტუტს ინსტიტუციურ აკრედიტაცია ენიჭება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

8.2. ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭება ხდება ასოციაციის მიერ გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვის პროცესში კვალიფიციური ინსტიტუტის/ორგანიზაციის გამოვლენის საფუძველზე. ინსტიტუციური აკრედიტაციისთვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ამტკიცებს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო წინამდებარე დებულების დანართის სახით.

8.3. ასოციაცია უფლებამოსილია ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების მიზნით ინტერესთა გამოხატვის პროცესი გამოაცხადოს ერთი ან რამდენიმე დარგის მიმართულებით.

8.4. ამ დებულებით განსაზღვრული წესით შერჩეულ ორგანიზაციას/ინსტიტუტს ენიჭება ინსტიტუციური აკრედიტაცია, რის საფუძველზეც, აკრედიტაციის მინიჭებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, ასოციაციასა და აღნიშნულ ორგანიზაციას/ინსტიტუტს შორის შესაბამის დარგში/დარგებში სპეციალიზირებული კურსის/კურსების განხორციელების თაობაზე ფორმდება ხელშეკრულება, არაუმეტეს 5 (ხუთი) წლის ვადით.

8.5. ინსტიტუციური აკრედიტაციის მიღებასთან დაკავშირებული ერთჯერადი ფიქსირებული გადასახდელი განისაზღვრება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

8.6. სპეციალიზირებული კურსის ჩატარების საფასური, რომელსაც ამ დებულების შესაბამისად აკრედიტირებული ორგანიზაცია/ინსტიტუტი უხდის ასოციაციას, განისაზღვრება ასოციაციასა და აღნიშნულ ორგანიზაციას/ინსტიტუტს შორის დადებული ხელშეკრულებით, მაგრამ არანაკლებ 2’000.00 (ორი ათასი) ლარისა თითოეულ ნაკადზე/ჯგუფზე.

8.6. ინსტიტუციური აკრედიტაციის შეწყვეტა ხდება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ შემდეგ შემთხვევებში:

(ა) ასოციაციასა და ორგანიზაციის/ინსტიტუტს შორის შეთანხმებით;
(ბ) ასოციაციასა და აკრედირირებულ ორგანიზაციას/ინსტიტუტს შორის ამ მუხლის 8.4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ხელშეკრულების გაუფორმებლობის შემთხვევაში;
(გ) აკრედირირებული ორგანიზაციის/ინსტიტუტის მიერ ირღვევა ანდა არ სრულდება ამ დებულებითა და ასოციაციასა და ორგანიზაციას/ინსტიტუტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
(დ) ასოციაციასა და აკრედირირებულ ორგანიზაციას/ინსტიტუტს შორის დადებული ხელშეკრულების ვადის გასვლით.

9. სპეციალიზირებული კურსის ღირებულება

სპეციალიზირებულ კურსში მონაწილეობის ღირებულება განისაზღვრება კურსის განმახროციელებელი ორგანიზაციის/ინსტიტუტის მიერ.

10. სპეციალიზირებულ კურსზე რეგისტრაციის წესი

სპეციალიზირებულ კურსზე მონაწილის რეგისტრაციის წესი განისაზღვრება კურსის განმახროციელებელი ორგანიზაციის/ინსტიტუტის მიერ.

11. მონიტორინგი

სპეციალიზირებული კურს(ებ)ის აკრედიტირებული ორგანიზაციის/ინსტიტუტის მიერ განხორციელების შემთხვევაში, ასოციაცია უფლებამოსილია აწარმოოს ხარისხის

მონიტორინგი კურს(ებ)ის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან/ინსტიტუტთან წინასწარ შეთანხმებული წესის შესაბამისად.

12. სერთიფიკატის ვადა

სპეციალიზირებული კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერთიფიკატი) ძალას კარგავს, თუ პირი აღნიშნული სერთიფიკატის მიღებიდან 2 წლის განმავლობაში, ამ დებულებით დადგენილი წესით, არ მიიღებს შესაბამის დარგში სპეციალიზირებული ადვოკატის სტატუსს.

13. სტატუსის შენარჩუნება

13.1. სპეციალიზირებული ადვოკატის სტატუსის შენარჩუნების მიზნით, პირი ვალდებულია სპეციალიზირებულ დარგში ყოველწლიურად დააგროვოს სავალდებულო განგრძობადი იურიდიული განათლების არანაკლებ 5 (ხუთი) კრედიტ საათი;

13.2. ამ მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების თაობაზე ცნობებს სპეციალიზირებული სტატუსის მქონე ადვოკატი წარუდგენს ასოციაციას.

14. სპეციალიზირებული სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

14.1. სპეციალიზირებული სტატუსის მქონე ადვოკატს შეუჩერდება აღნიშნული სტატუსი:

(ა) პირადი განცხადებით;
(ბ) წინამდებარე დებულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
(გ) ასოციაციის წევრობის შეჩერების შემთხვევაში.

14.2. სპეციალიზირებული სტატუსის მქონე ადვოკატს შეუწყდება აღნიშნული სტატუსი:

(ა) პირადი განცხადებით;
(ბ) ცნობილი გახდა, რომ სპეციალიზირებული ადვოკატის სტატუსის მიღების ანდა შენარჩუნების მიზნით წარმოდგენილი მონაცემები არაა ნამდვილი;
(გ) ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში.

დანართი: ინსტიტუციური აკრედიტაციის მიღებისთვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. ორგანიზაციის/ინსტიტუტის საქმიანობის საწესდებო მიზნებს უნდა წარმოადგენდეს სამართლის სფეროში აკადემიური სწავლებისა და პროფესიული ტრენინგების ჩატარება;

2. ორგანიზაცია/ინსტიტუტის წარმომადგენლები უნდა სარგებლობდნენ ნდობითა და მაღალი რეპუტაციით.

3. ორგანიზაციას/ინსტიტუტს უნდა ჰყავდეს მაღალი კვალიფიკაციისა და რეპუტაციის აკადემიური პერსონალი.

4. იქედან გამომდინარე, რომ ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის ქართული სისტემა ეფუძნება ადვოკატთა ვიწრო სპეციალიზაციის გერმანულ მოდელს *(Fachanwalt),* აღნიშნული სისტემის ასოციაციაში წარმატებით დანერგვის მიზნით, ინტერესთა გამოხატვის პროცესში ყურადღება მიექცევა შესაბამისი გამოცდილების მქონე იმ ორგანიზაციას/ინსტიტუტს, რომელსაც აქვს მჭიდრო თანამშრომლობა იმ ქვეყნის/ქვეყნების მსგავსი პროფილის ორგანიზაციებთან, სადაც ფუნქციონირებს ზემოაღნიშნული ვიწრო სპეციალიზაციის სისტემა.

წარმოსადგენი დოკუმენტები და ინფორმაცია:

1. ორგანიზაციის/ინსტიტუტის სადამფუძნებლო დოკუმენტები;

2. კვალიფიკაციის წერილობითი მიმოხილვა;

3. თითოეულ დარგში, რომელზეც ასოციაციის მიერ გამოცხადებულია ინტერესთა გამოხატვის პროცესი, ადვოკატთა სპეციალიზირებული კურსის შინაარსისა და სტრუქტურის თაობაზე ხედვა/მონახაზი.

4. ორგანიზაციის/ინსტიტუტის ხელმძღვანელ(ებ)ის ბიოგრაფია.

5. თითოეულ დარგზე შემოთავაზებული აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიები.

6. აკრედიტაციის მიღებასთან დაკავშირებული ერთჯერადი ფიქსირებული გადასახდელის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.